ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

საქართველოს უზენაეს სასამართლოსა

და

ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ შორის

თბილისი
9 ოქტომბერი, 2015 წ.

მართლმსაჯულების სასახლე

ერთი მხრივ, **საქართველოს უზენაესი სასამართლო** (შემდგომში – „სასამართლო“) წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის ნინო გვენეტაძის მიერ და, მეორე მხრივ, **აიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“** (შემდგომში – „ორგანიზაცია“) წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის ეკა გიგაურის მიერ, თანხმდებიან ურთიერთთანამშრომლობის შემდეგ პირობებზე:

1. მემორანდუმის მიზანი

მემორანდუმის მიზანია სასამართლოსა და ორგანიზაციას შორის თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებების, ვადებისა და პირობების დადგენა.

2. მემორანდუმის ამოცანა

ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში სასამართლო და ორგანიზაცია განახორციელებენ მართლმსაჯულების საქმიანობის ეფექტიანობისა და ხარისხის განვითარებისაკენ მიმართულ ერთობლივ სასწავლო, კვლევით და ანალიტიკურ პროექტებს, ასევე ითანამშრომლებენ სასამართლოსათვის და საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემისათვის საინფორმაციო სისტემების დახვეწის მიმართულებით.

3. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

3.1. მემორანდუმის შესრულების მიზნით, სასამართლო:

ა. გამოყოფს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფილ სხდომის დარბაზებს ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში ორგანიზებული აქტივობების ჩატარებისათვის;

ბ. უზრუნველყოფს მართლმსაჯულების თემაზე ორგანიზაციის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას საქართველოს სასამართლოებში შიდა საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით;

გ. ხელს უწყობს ორგანიზაციის მიერ ჩასატარებელი სასწავლო აქტივობების ორგანიზებასა და განხორციელებას;

დ. ორგანიზაციის მოთხოვნისამებრ გამოყოფს სასამართლოს აპარატის შესაბამის თანამშრომლებს, საინფორმაციო სისტემის დახვეწის მიზნით განსახორციელებელ საქმიანობაში (საერთო სასამართლოებში საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის მოთხოვნათა განსაზღვრისათვის და სხვა თანმდევ პროცესებში) მონაწილეობის მისაღებად;

ე გამოყოფს საკონტაქტო პირს მემორანდუმის შესრულების უზრუნველყოფის მიზნით;

ვ. ახორციელებს სხვა ქმედებებს ამ მემორანდუმის ამოცანების შესრულების მიზნით.

3.2. მემორანდუმის შესრულების მიზნით, ორგანიზაცია:

ა. უზრუნველყოფს ექსპერტთა მოწვევას მოსამართლეებისა და სასამართლოს მოხელეთათვის სხვადასხვა სასწავლო აქტივობების დაგეგმვის მიზნით;

ბ. აქტიურად თანამშრომლობს სასამართლოსთან სასწავლო აქტივობების, სამუშაო შეხვედრების და სხვა ანალოგიური პროექტების ორგანიზებისა და ექსპერტების მოწვევის კუთხით;

გ. უზრუნველყოფს სასამართლოსთვის ორგანიზაციის გამოცემათა მიწოდებას;

დ. სასამართლოსთან ერთად და შეთანხმებით ახორციელებს საგანმანათლებლო აქტივობების დაგეგმვასა და ჩატარებას;

ე. უზრუნველყოფს სასამართლოს საქმიანობის შესახებ მემორანდუმიდან გამომდინარე ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიწოდებას;

ვ. სასამართლოს მიზნებისა და მოთხოვნის შესაბამისად ახორციელებს (თავად ან მისი დაფინანსებით, მესამე მხარის ჩართულობით) სასამართლოს საინფორმაციო სისტემების დახვეწისაკენ მიმართულ ღონისძიებებს. სასამართლოს შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში, ორგანიზაცია მზადაა სასამართლო სისტემას შესთავაზოს მოსამართლეთა შორის საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის შესაქმნელად მოთხოვნებისა და პროცესების ანალიზი, არქიტექტურის შექმნა და სისტემის დეველოპმენტი.

ზ. ახორციელებს სხვა ქმედებებს ამ მემორანდუმის ამოცანების შესრულების მიზნით.

4. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

4.1. მხარეები დადებითად აფასებენ გასულ პერიოდში სასამართლოსა და ორგანიზაციას შორის არსებული თანამშრომლობის შედეგებს, მათ შორის ორგანიზაციის მიერ სასამართლოსათვის, შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დახმარებით, შექმნილ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების საძიებო სისტემას, რომლის

სასამართლოს ვებ-გვერდზე განთავსება და პრეზენტაცია მოხდება წინამდებარე მემორანდუმის ხელმოწერის დღეს.

4.2 მემორანდუმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის მოლაპარაკებებისა და შეთანხმების გზით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4.3. დაუშვებელია წინამდებარე მემორანდუმის რომელიმე დებულების შეცვლა, მოდიფიცირება, უარყოფა, გაუქმება ან შეწყვეტა მხარეთა წერილობითი თანხმობის გარეშე.

4.4. მემორანდუმი ძალაში შედის ორივე მხარის მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ერთ-ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის შეთანხმების შეწყვეტის შესახებ წერილობითი მოთხოვნის წარდგენამდე;

4.5. მემორანდუმს ხელი მოეწერა ორ ეგზემპლარად მართლმსაჯულების სასახლეში (თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. 32), ორივე ტექსტს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს, ერთი ინახება სასამართლოში, მეორე - ორგანიზაციაში.

მხარეთა წარმომადგენლების ხელმოწერები:

ნინო გვენეტაძე	**ეკა გიგაური**
საქართველოს უზენაესი სასამართლო	ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ აღმასრულებელი დირექტორი
სასამართლოს თავმჯდომარე	